

სარეკომენდაციო ტესტირება მათემატიკაში

30.06.2017 - VII კლასი - ვარიანტი I

1. გამოთვალეთ

$$\frac{4,85 + 2\frac{7}{15} - 2,25 - 2\frac{7}{13} + 1\frac{3}{52}}{0,1 + 0,5 \cdot 0,3}$$

(პასუხი: 32)

2. ამოხსენით განტოლება

ა) $0,3 \cdot (3 - 5x) - 1\frac{1}{5} \cdot (8 - 7x) = 0,9 - \frac{1}{2}(19x + 11)$

(პასუხი: 1/4)

ბ) $\frac{3-2x}{5} - \frac{1}{3}(8x - 5) = 0$

(პასუხი: 17/23)

3. მაღაზიამ შეიძინა 2 ტონა მარწყვი კილოგრამი 80 თეთრად. ნაყიდი მარწყვის $\frac{1}{5}$ ნაწილი გაფუჭდა. რა ფასად უნდა გაყიდოს მაღაზიამ დარჩენილი მარწყვი, რომ მთლიანმა მოგებამ შეადგინოს 20% ?

(პასუხი: 120 თ)

4. ერთი ავტომობილის სიჩქარეა 60კმ/სთ. მეორე ავტომობილი ყოველ კილომეტრს გადის 0,5 წუთით მეტ დროში, ვიდრე პირველი. იპოვეთ მეორე ავტომობილის სიჩქარე.

(პასუხი: 40 კმ/სთ)

5. სამი რიცხვის ჯამი 339. ამასთან, პირველი რიცხვი ისე შეეფარდება მეორეს, როგორც $3\frac{1}{2} : 2$, ხოლო მეორე შეეფარდება მესამეს, როგორც $2\frac{1}{3} : 3$. იპოვეთ ეს რიცხვები.

(პასუხი: 147, 84 და 108)

6. პირველ ყუთში 80 ვაშლია. მათი 30% გადააწყვეს მეორე ყუთში, რომელშიც მხოლოდ ატმები იყო. შემდეგ მეორე ყუთიდან გადმოაწყვეს მიღებული ხილის რაოდენობის 20%, რომელთა ნახევარი ვაშლია. ამის შემდეგ პირველ ყუთში აღმოჩნდა 40 ვაშლით მეტი, ვიდრე მეორე ყუთში დარჩა. რამდენი ატამი იყო თავდაპირველად მეორე ყუთში?

(პასუხი: 16)

სარეკომენდაციო ტესტირება მათემატიკაში

30.06.2017 - VII კლასი - ვარიანტი II

1. გამოთვალეთ

$$\frac{0,65 \cdot 1\frac{7}{13} + 5,44 \cdot \frac{17}{25} - 5,25}{9,75 - 6 \cdot 2\frac{2}{3}}$$

(პასუხი: 1/2)

2. ამოხსენით განტოლება

$$a) 1\frac{2}{5} \cdot (6x - 13) - 0,4 \cdot (7 - 9x) = 23,25 - \frac{3}{4} \cdot (2x + 5)$$

(პასუხი: 3)

$$b) \frac{1}{4} \cdot (7x - 3) - \frac{4-3x}{3} = 0$$

(პასუხი: 25/33)

3. მაღაზიამ შეიძინა 1 ტონა ბალი კილოგრამი 80 თეთრად. ნაყიდი ბალის $\frac{1}{5}$ ნაწილი გაფუჭდა. რა ფასად უნდა გაყიდოს მაღაზიამ დარჩენილი ბალი, რომ მთლიანმა მოგებამ შეადგინოს 10%? (პასუხი: 110 თ)

4. ერთი ავტომობილის სიჩქარეა 60 კმ/სთ. მეორე ავტომობილი ყოველ კილომეტრს გადის 0,5 წუთით ნაკლებ დროში, ვიდრე პირველი. იპოვეთ მეორე ავტომობილის სიჩქარე. (პასუხი: 120 კმ/სთ)

5. სამი რიცხვის ჯამი 303. ამასთან, პირველი რიცხვი ისე შეეფარდება მეორეს, როგორც $2\frac{1}{2} : 3$, ხოლო მეორე შეეფარდება მესამეს, როგორც $3\frac{1}{2} : 2$. იპოვეთ ეს რიცხვები. (პასუხი: 105, 126 და 72)

6. პირველ ყუთში 50 ვაშლია. მათი 40% გადააწყვეს მეორე ყუთში, რომელშიც მხოლოდ ატმები იყო. შემდეგ მეორე ყუთიდან გადმოაწყვეს მიღებული ხილის რაოდენობის 20%, რომელთა ნახევარი ვაშლია. ამის შემდეგ პირველ ყუთში აღმოჩნდა 20 ვაშლით მეტი, ვიდრე მეორე ყუთში დარჩა. რამდენი ატამი იყო თავდაპირველად მეორე ყუთში? (პასუხი: 30)